

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი კანონის პროექტით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურა განხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. აღნიშნული ფუნქციის საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემა გაამარტივებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც იმყოფებიან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურას.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხის თაობაზე განცხადება დაინტერესებული პირის მიერ შეიტანება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ან შესაბამის ქვეყანაში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. საკითხს წინასწარ იხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაბამის ქვეყანაში არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულ დაწესებულების წარდგინებით. დასკვნას მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე ამტკიცებს საგარეო საქმეთა მინისტრი.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებული წესი, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება განხორციელდება ზემოაღნიშნული პროცედურის დაუკველად.

პროექტით ასევე სწორდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული კოლიზია. კერძოდ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებობდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ ენიჭებოდათ საქართველოს მოქალაქეობა, „მოქალაქეობის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონით, კი ასეთი გათავისუფლება არ იყო გათვალისწინებული, რაც წარმოდგენილი კანონის პროექტით დარეგულირებულია.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

პროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.